ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1596206

ნომერი: AR1258893

თარიღი : 17.10.2014

გაცემის თარიღი : 16.11.2014

გაცნობის თარიღი : 18.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ.სამხედრო გზაზე სასტ."უშბა"-ს მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ასათიანი პ/ნ 01008015455
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 21.11.2006 წ. #ა-1/110 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 17.10.2014 წ. #AR1258893 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს „ინტერგანი 2“-ს დირექტორმა გურამ ასათიანმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.12.2006 წ. #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების

საქალაქო სამსახურის მიერ 21.11.2006 წ. ქ.თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე სასტუმრო „უშბა“-ს მოპირდაპირედ საკადასტრო კოდი: 01.12.01.020.069, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 6395 კვ.მ.) არსებულ მიწის ნაკვეთებზე სავაჭრო–გასართობი და საზოგადოებრივი კვების ობიექტის აშენების მიზნით გაიცა #ა-1/110 ქალაქმშენებლობითი პირობები.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 21.11.2006 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #ა-1/110 ქალაქმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ˜ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან, საკითხი სპეციალური ზონალური ნებართვისა გაცემის შესახებ, სამსახურმა განსახილველად წარადგინა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის #37 სხდომაზე, სადაც საკითხი გადაწყდა დადებითად, შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ˜ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ˜ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წ. #ა-1/110 ქალაქმშენებლობით პირობებში, საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: - სავაჭრო–გასართობი და საზოგადოებრივი კვების ობიექტი და ტერიტორიაზე მოქმედი ავტოგადამართი სადგურის რეკონსტრუქცია გაზგასამართ სადგურად;
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წ. #ა-1/110 ქალაქმშენებლობით პირობებს დავალების პოზიციების #1 გრაფაში უნდა დაემატოს ჩანაწერი: არსებული შენობის რეკონსტრუქციის განხორციელების თაობაზე და მოთხოვნა სარეკონსტრუქციო შენობის მდგრადობის დასკვნის წარმოდგენაზე;
3. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წ. #ა-1/110 ქალაქმშენებლობით პირობებს დაემატოს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის #37 სხდომის ოქმის ამონარიდი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წ. #ა-1/110 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.